“დინამო” (თბილისი) – “არკონია” (შეცინი) 5:0

ვარშავა. 27 ივნისი. (ტელეფონით “პსეგლონდ სპრტოვის” რედაქცია). გუშინ თბილისის “დინამოს” ფეხბურთელთა გუნდმა დაამთავრა ტურნე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში. სტუმრებმა ბოლო მატჩი გამართეს ქ. შეცინში ადგილობრივ “არკონიასთან”. მასპინძელთა გუნდი ამ ერთი წლის წინათ გადმოვიდა I ლიგაში, მაგრამ წლევანდელი ჩემპიონატი წარუმატებლად ჩაატარა და ისევ თავის ძველ ადგილს – II ლიგას დაუბრუნდა.

თბილისელთა გამოსვლამ შეცინელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. მრავალრიცხოვან მაყურებელს დინამოელებმა უჩვენეს სწრაფი, მაღალტექნიკური და ტაქტიკურად გააზრებული თამაში. მატჩის დიდი ნაწილი “დინამოს ფორვარდთა იერიშებით აღინიშნა. განსაკუთრებით კარგად ითამაშეს მეტრეველმა, ბარქაიამ, კალოევმა. ნახევარმცველები – გ. სიჭინავა და იამანიძე აქტიურად ერთვოდნენ გუნდის წინა ხაზის შეტევებს.

“არკონიის” ეპიზოდურ იერიშებს საიმედოდ იგერიებდნენ ბ. სიჭინავა, ჭელიძე, ზეინკლიშვილი და ცხოვრებოვი.

როდესაც გაისმა მსაჯის საფინალო სასტვენის ხმა, ანგარიში იყო 5:0 “დინამოს” სასარგებლოდ (პირველი ტაიმი – 4:0). ბურთები გაიტანეს კალოევმა (2), მეტრეველმა, ბარქაიამ და აფშევმა.

28 ივნისი, 1964 წ.